**იუსტიციის მინისტრი**

**13 / ოქტომბერი / 2023 წ.**

KA010139721366123

**თბილისი** **№ 542**

**ბრძანება**

**საგრანტო პროგრამა №001-2023-ის – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება“ – დამტკიცების შესახებ**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ს“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის № 160 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს თანდართული საგრანტო პროგრამა № 001-2023 – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ინოვაციური სერვისების დანერგვის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცება“.

2. საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის მონიტორინგი განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ადმინისტრაციისა (დეპარტამენტი) და ეკონომიკური დეპარტამენტის მეშვეობით.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე